საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის

სამშენებლო ფაკულტეტის საბჭოს სხდომის

ოქმი № 4 11.06.2019 წ.

2019 წლის 11 ივნისს შედგა სამშენებლო ფაკულტეტის საბჭოს სხდომა.

ფაკულტეტის საბჭოს სხდომას 215 წევრიდან დაესწრო 159 წევრი

(დასწრების სია თან ერთვის ოქმს)

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი

1. ბაკალავრიატის სასწავლო-საგანმანათლებლო პროგრამების მოდიფიცირება აკრედიტაციაზე წარსადგენად. მომხსენებელი, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, პროფესორი მარინა ჯავახიშვილი.

2. ბაკალავრიატის ახალი სასწავლო-საგანმანათლებლო ქართულენოვანი პროგრამის „სამოქალაქო ინჟინერია“ აკრედიტაციაზე წარდგენის შესახებ. მომხსენებლი ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, პროფესორი მარინა ჯავახიშვილი, პროფესორი ალექსანდრე დავითაშვილი-ბაგრატოინი.

3. ბელოსტოკის ტექნიკურ უნივერსიტეტში სტუ-ის სამშენებლო ფაკულტეტის მაგისტრანტების საწარმოო პრაქტიკის ანგარიშის შესახებ. მომხსენებლები ასოცირებული პროფესორი ზურაბ გვიშიანი, ასისტენტი ზაალ ცინაძე, სტუდენტები აზა ჩხარჩხალია, საბა ნიკოლავა.

4. მიმდინარე საკითხები.

**1.2.მოისმინეს**: ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის მარინა ჯავახიშვილისა და პროფესორ ალექსანდრე დავითაშვილი-ბაგრატოინის ინფორმაცია, სამშენებლო ფაკულტეტის ბაკალავრიატის მოდიფიცირებული საგანმანათლებლო პროგრამების ,,მშენებლობის მენეჯმენტი“ და ,,სამშენებლო სატრანსპორტო ტექნოლოგიური საშუალებები“ პროექტის, ასევე ბაკალავრიატის ახალი ქართულენოვანი საგანმანათლებლო პროგრამის ,,სამოქალაქო ინჟინერია“ პროექტის განხილვის შესახებ.

**აზრი გამოთქვეს:** პროფესორებმა: მალხაზ წიქარიშვილმა, ტარიელ კვიციანმა, ლია კახიანმა.

**დაადგინეს**: სამშენებლო ფაკულტეტის ბაკალავრიატის მოდიფიცირებული საგანმანათლებლო პროგრამების ,,მშენებლობის მენეჯმენტი“ და ,,სამშენებლო სატრანსპორტო ტექნოლოგიური საშუალებები“ პროექტი, ასევე ბაკალავრიატის ახალი ქართულენოვანი საგანმანათლებლო პროგრამის ,,სამოქალაქო ინჟინერია“ პროექტი, გადაეცეს რექტორს აკადემიურ საბჭოზე განხილვისა და დამტკიცების მიზნით.

**3. მოისმინეს:** ასოცირებული პროფესორის ზურაბ გვიშიანის ინფორმაცია ბელოსტოკის (პოლონეთი) ტექნიკურ უნივერსიტეტში სტუ-ის სამშენებლო ფაკულტეტის მაგისტრანტების საწარმოო პრაქტიკის ანგარიშის შესახებ. ასევე მოხსენებით გამოვიდნენ ასისტენტი ზაალ ცინაძე, სტუდენტები აზა ჩხარჩხალია, საბა ნიკოლავა. მათ მადლობა გადაუხადეს ფაკულტეტის დეკანს, პროფესორ დავით გურგენიძეს, უნივერსიტეტის ადმინისტრაციას რექტორს, ა. ფრანგიშვილს. მომხსენებლებმა საბჭოს გააცნეს ინფორმაცია ბელოსტოკის ტექნიკური უნივერსიტეტის ლაბორატორიაში ჩატარებული სამუშაობის, კონფერენციაში მონაწილეობის შესახებ.

ფაკულტეტის დეკანმა, პროფესორმა დავით გურგენიძემ მომხსენებლებს მადლობა გადაუხადა გაწეული შრომისათვის და წარმატებები უსურვა.

**4. მოისმინეს:** ფაკულტეტის მენეჯერის პროფესორ გ. გურეშიძის ინფორმაცია პროფესორის ტარიელ კვიციანის სახელმძღვანელოს „თეორიული მექანიკის კურსი, დინამიკა“ დაბეჭდვის დაფინანსების (ავტორი პროფესორი ტარიელ კვიციანი) შესახებ.

**დაადგინეს:** სამშენებლო ფაკულტეტის საბჭო მხარს უჭერს ტარიელ კვიციანის სახელმძღვანელოს „თეორიული მექანიკის კურსი, დინამიკა“ გამოცემას და მისი გამოცემის დაფინანსებას ფაკულტეტის ბიუჯეტის მუხლიდან - ,,ნორმატიული აქტების, საცნობარო და სპეციალური ლიტერატურის, ჟურნალ-გაზეთების შეძენა და ამავე მიზნებთან დაკავშირებული საგამომცემლო-სასტამბო ხარჯები“ 1200 (ათასორასი) ლარის ოდენობით.

**დადაგენილება მიღებულ იქნა ერთხმად.**

**მოისმინეს:** ფაკულტეტის მენეჯერის პროფესორ გ. გურეშიძის ინფორმაცია პროფესორის ტარიელ კვიციანის სახელმძღვანელოს „თეორიული მექანიკის კურსი, დინამიკა“ დაბეჭდვის დაფინანსების (ავტორი პროფესორი ტარიელ კვიციანი) შესახებ.

**დაადგინეს:** სამშენებლო ფაკულტეტის საბჭო მხარს უჭერს ტარიელ კვიციანის სახელმძღვანელოს „თეორიული მექანიკის კურსი, დინამიკა“ გამოცემას და მისი გამოცემის დაფინანსებას ფაკულტეტის ბიუჯეტის მუხლიდან - ,,ნორმატიული აქტების, საცნობარო და სპეციალური ლიტერატურის, ჟურნალ-გაზეთების შეძენა და ამავე მიზნებთან დაკავშირებული საგამომცემლო-სასტამბო ხარჯები“ 1200 (ათასორასი) ლარის ოდენობით.

**დადაგენილება მიღებულ იქნა ერთხმად.**

**სამშენებლო ფაკულტეტის**

**საბჭოს თავმჯდომარე, პროფესორი /დ. გურგენიძე/**

**საბჭოს მდივანი, პროფესორი /რ. იმედაძე /**